საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 114
სამშაბათი, იანვრის 3
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6,

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 5-ს
სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი
მეშვიდე ლიტერატურული ხუთშაბათი
ობოლი მუშა
„პროლეტარული პოეზია"
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.
დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 402

გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ორგანო ჟურნალი
„ლომისი"
გალაკტიონ ტაბიძე. ზამთარი.
ლეო ქიაჩელი. მე და ჩემი ორი მე.
გალაკტიონ ტაბიძე. პოეზია უწინარეს ყოვლისა.
კონსტა გამსახურდია. იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი.
ირაკლი ტოიძე. ნიკო ფიროსმანიშვილი.
მოსე თოიძე. ქართული მხატვრობა.
ბიბლიოგრაფია. „ხომალდი".
შარლემანი. ყდა და ლერბი.
ნომერი ღირს 12 ათასი.

ახალი წელი და ჩვენი პარტია.

„დღეს ახალი წელიწადია. ყველანი ულოცავენ ერთმანეთს ბედნიერ სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს. ხოლო უმეტეს შემთხვევაში ავიწყდებათ, რომ ცხოვრება ჯაჭვია და აწმყო და მომავალი ამ ჯაჭვის რგოლებია."

ანჩილდ.

(1922 წ.).

მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტია პირველ ახალ წელს ეგებება.

ყოველი დარგის მოღვაწე, ყოველი მოქალაქე ახალ წელს მოიგონებს გასული წლის ნამოქმედარს და დაისახავს ახალ გეგმას და ახალ იდეას. ჩვენთვისაც, როგორც განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულებისათვის, საჭიროა თვალი გადავავლოთ პოლიტიკურ ცხოვრებას გასულ წელში.

რუსეთის რევოლუციამ დიდი პრაქტიკა მოგვცა ყოველ დარგში. ჩვენ შეგვიძლია რუსეთის პრაქტიკით შევამოწმოთ ჩვენი დებულებანი. უმთავრესი მომენტი ოქტომბრის გადატრიალებისა იყო ლ. ტროცკის თქმით, მინიმუმისა და მაქსიმუმის პროგრამის შორის განუყრელობის დამყარება. ბოლშევიზმი, დარწმუნებული თავის იდეათა ცხოველმყოფელობაში, ცდილობდა კომუნისტური საზოგადოების რეალიზაციას. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ „ნახტომის" მეთოდით შეუძლებელია ახალ სოციალურ ფორმაციაში გადასვლა. რუსეთის რევოლუცია, ჩვენი აზრით, იყო სოციალური რევოლუცია და ამიტომ იგი შედეგი იქნებოდა არა მარტო პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღებისა, არამედ იგი ხანგრძლივი პროცესის სახით გაივლიდა თავის განვითარების ეტაპებს და სოციალისტურ ჩანასახებით ნიადაგს ჩაუყრიდა ახალ სოციალურ ურთიერთობას. ჩვენი აზრი მეცნიერული აზრი გამოდგა. წასულმა წელმა ნათლად გამოააშკარავა „ნახტომის" მეთოდის მეტაფიზიკური ბუნება. რუსეთის რევოლუცია არც ენგელსის კონცეპციებს დაუბრუნდა. იგი არ შეუდგა ტიპიური კაპიტალიზმის შენებას და კლასთა ფორმაციის საფუძველთა გამაგრებას *). მან კოლექტიური მეურნეობა კერძო კაპიტალს დაუპირდაპირა და მათ შორის კონკურენციის გზით მოინდომა ინდივიდუალური წარმოების განდევნა. — ეს ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ მიერ მიღებული იყო ჯერ კიდევ მე-5 კონფერენციაზე. მაშასადამე გასულმა წელმა ჩვენი ეკონომიური პროგრამის სრული გამართლება ცხადჰყო. დღეს ჩვენ ვიმყოფებით არც სოციალიზმსა და არც კაპიტალიზმში, არამედ იმ ისტორიულ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმის შევიწროებით სოციალისტურ ელემენტებს უყრით საფუძველს.

სოციალ-ფედერალიზმის აზროვნებას ერისა და ეროვნული სახელმწიფოს თავისებური გაგება ახასიათებს. მარქსისტულმა სოციოლოგიამ ერი ისტორიულ გარდამავალ კატეგორიით გამოაცხადა. ეროვნული სახელმწიფო მან უარჰყო და რუსეთს კოსმოპოლიზმში ჰპოვა საუკეთესო განსახიერება, რომლის მიხედვით ერი აბსტრაქციაა, რეალობა კი ხალხია, ხოლო ხალხის ორგანიზაცია არის სახელმწიფო. ჩვენთვის ასეთ მარტივად არ სდგას საკითხი. ეროვნული ინდივიდუალობა ისტორიული ფაქტია. ეროვნული ინდივიდუალობის ცვალებადობა ისტორიული პროცესის გასწვრივ არ ნიშნავს მის მოსპობას. მარქსისტული აზროვნება კაპიტალიზმის ეპოქას უდებს საფუძვლად ეროვნების წარმოშობას. ამავე დროს, მისი აზრით, ნაციონალური ბაზრის გაფართოვება მსოფლიო ბაზრამდე იწვევს ნაციონალურ ერთეულთა ასიმილიაციას. ხდება გაერთიანება კულტურის და ერთა სპეციფიური თვისებები ადგილს უთმობს ერთიანობას, ერთფეროვნობას. ცენტრალიზმი ეკონომიკაში, ცენტრალიზმი პოლიტიკაში, ასეთი იყო მარქსისტული დოგმატი, გამომდინარე ატომისტური თეორიიდან. მაგრამ სოციალურ ძალთა სრბოლამ გადალახა ჩარჩოები მარქსისტული შეხედულებისა.

კაპიტალიზმის განვითარებამ მოგვცა არა ასიმილიაცია ნაციონალურ ერთეულთა, არამედ პირიქით მისი დიფერენციაცია და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში ჩამოყალიბება.

ერთი სიტყვით, ეროვნული იდეის გავლენა, ეროვნული მოძრაობა უკვე რეალური ფაქტია, რომლის წინაშე მუხლს იდრეკს დღეს ურწმუნო თომებიც კი. მაშასადამე მარქსისტული დებულება ცენტრალისტური სახელმწიფოს შექმნისა ისტორიამ უარყო. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნე ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესია.

მარქსისტული აზროვნება, მხოლოდ კლასობრივი მომენტით მზომველი „სოციალური ცხოვრების სირთულისა, აშკარად გაკოტრდა. ჩვენი მხედველობა, რომელიც სოციალურ ცხოვრების მოვლენებს ორი საზრისით, ეროვნულითა კლასობრივით უდგებოდა ისტორიამ გაამართლა. დღეს ეროვნული იდეის ძალას ვერავინ ვერ უარყოფს, მის მნიშვნელობას ვერავინ დამალავს.

ყოველივე ეს კარგად ესმის ბოლშევიზმს, როდესაც ფედერალიზმს იღებს ერთა ურთიერთობის ფორმად და სეპარაციზმსაც ხელს აწერს. მაგრამ ბოლშევიზმის თეორია ეროვნულ საკითხში მაინც დიდ შესწორებას საჭიროებს. ი. სტალინი წარმომადგენელია ბოლშევიზმისა ეროვნული საკითხის სფეროში, რომელიც ამბობს „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ რუსეთისაგან განაპირა ქვეყნების ჩამოშორებისო". იგი ებრძვის შპრინგერს და ბაუერს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის საფუძვლებში და უარყოფს მას. ი. სტალინი, ისე, როგორც თავის დროზე [illegible] რუსი სახელმწიფოს ფიზიკურ საფუძვლად იღებს არა ეროვნულ ორგანიზმს, არამედ ხალხს, ეკონომიურ ერთეულს და უყენებს ოლქობრივი ავტონომიის პრინციპს. არჩილს მოჰყავს ლენინის სიტყვა ერთ-ერთი კონფერენციის ოქმიდან, სადაც იგი წინააღმდეგია სიტყვა „თვითგამორკვევის ხმარებისაც კი, „რადგან ამას მიიღებენ ვითომც ჩვენ სახელმწიფოს დანაწილების მომხრე ვიყოთო. მაგრამ დღეს სურათი იცვლება. არა თუ ავტონომიურ ერთეულებს იღებენ დღეს ისინი, რომლის საფუძველია ეროვნული ორგანიზმი, არამედ სრულ დამოუკიდებლობასაც ხელს აწერენ. ცხადია: ან ბოლშევიზმმა მოახდინა დიდი რევიზია მარქსისტულ შეხედულებაში და უარჰყო ძველი გზა, ან ეროვნული საკითხი მან მიიღო, როგორც ფაქტიური მომენტი რევოლუციის პროცესში. პირველი დებულება ვერ პოულობს დადებით პასუხს, მეორე დებულება რჩება ძალაში. ბოლშევიზმისათვის ნაციონალური საკითხი ფაქტიური მომენტია და მეტი არაფერი. ისტორიის გაკვეთილმა და რეალური ფაქტების სიმძლავრემ, კიდევ ვერ განკურნა მარქსიზმის სოციოლოგია ცალმხრივობისაგან. იგი დღესაც თითქმის იმავე გზას ადგას. ჩვენ კი პრინციპიალური მოსაზრებანი გვაქვს ნაციონალური საკითხის შესახებ. ფედერალიზმი უარყოფს, როგორც ფეოდალური კარჩაკეტილობის, თემური იმუნიტეტის და პარტიკულარიზმის ისე ცენტრალიზმს. იგი საუკეთესო, რაციონალური შეთანხმებაა ინტეგრალური და დიფერენციული ძალებისა და მიზან-შეწონილი გადაჭრაა ეროვნული პრობლემის პოლიტიკური მხარისა. ფედერალიზმი სოციალისტური ნაციონალიზმის სახელმწიფოებრივი კონსტრუქციაა. სოციალიზმი ეროვნული ინდივიდუალობის გაშლას, ერის პოტენციის გააშკარავებას უწყობს ხელს. ამდენადვე ნაციონალიზმსა და სოციალიზმს შორის წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ თანხმობაა, ჰარმონიაა. ამიტომ ყოველი პოლიტიკა უნდა იყოს სოციალ-ეროვნული პოლიტიკა. რევოლუციის პროცესში მით უფრო აუცილებელია ასეთი პოლიტიკის წარმოება.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია დავსვათ კითხვა, ვინ გაიმარჯვა რუსეთის რევოლუციის პროცესში და ვინ დამარცხდა? როგორც აღვნიშნეთ ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა დამარცხდა, ლენინმა გულახდილად აღიარა პოლიტიკური განათლების წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომ ჩვენი ცდა გადავსულიყავით კომუნიზმში სერიოზული დამარცხებით დასრულდა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. სოციალური რევოლუცია არ არის პოლიტიკური რევოლუცია. თუ მეორეს საათები ჰყოფნის, პირველს წლები უნდა, ახალ სოციალურ ფორმაციაში „ნახტომი" აუცილებლად მარცხით სრულდება. ფეოდალიზმის ლიკვიდაციის პროცესი, დიდხნობით გასტანა და საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ომებს ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, ისპანიაში, ნიდერლანდებში და სხვაგან. კაპიტალიზმის ლიკვიდაციის პროცესიც დიდხანს გასტანს. ეს იყო ჩვენი პროგნოზი იმ თავითვე და ეს დღეს უკვე ფაქტია, ნათელია.

რუსეთის რევოლუციამ ეროვნული საკითხი რადიკალურად წამოაყენა კლასობრივი ბრძოლის მომენტით მოაზროვნე ბოლშევიზმი, იძულებული გახდა ფედერალიზმამდე მისულიყო და სეპარაციაც აღეარებინა, თუმცა არა პრინციპიალურად, მაგრამ პრაქტიკულად მაინც. ფედერალიზმი იმ თავითვე წამოვაყენეთ ჩვენ, როგორც საუკეთესო ფორმა რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ამ იდეას ვქადაგობთ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, იგი ცხოვრებამ სავსებით გაამართლა და ისტორიის ლოღიკამ აიძულა ურწმუნონიც ქედი მოეხარათ მის წინაშე.

მაშასადამე ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა? ჩვენ გავიმარჯვეთ ჩვენ დავმარცხდით.

ჩვენ გავიმარჯვეთ იდეურად, ჩვენ დავმარცხდით ორგანიზაციულად, ეს დიდი გაკვეთილია ჩვენთვის, დღეს როდესაც ახალი წლის დასაწყის კვლავ პოლიტიკურ სარბიელზე გვსურს ვიმუშაოთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ამიტომ ჩვენ ყველასათვის გასაგონად ვაცხადებთ: ჩვენ დავმარცხდით ორგანიზაციულად, მიზეზი ჩვენი დამარცხებისა უფრო რთულია, ვიდრე ამას ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, ალბად მიუდგომელი ისტორია გამოიკვლევს იმ მიზეზებს, თუ რამ დაამარცხა პარტია რომლის იდეოლოგია თავისთავად იმარჯვებს, რომ დამარცხდა იმ დროს, როდესაც მის განკარგულებაში იყო ერის მშრომელი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტობის უდიდესი პროცენტი და სხვა და სხვა...

დღეს კი, როდესაც ახალ წელს ვეგებებით გულახდილად უნდა აღვიაროთ შემდეგი: ჩვენ გვქირია დიდი ბრძოლა, დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ სოციალ ფედერალიზმი საქართველოში დარჩეს არა როგორც „აზროვნების ხეტიალი", არამედ როგორც მტკიცე სოციალ-პოლიტიკური მიმართულება. ჩვენ ცოტანი ვართ, ეს ჩვენ არც გვაშინებს. არ გვაშინებს იმიტომ, რომ წინ მიგვიძღვის სინათლის სვეტი არჩილის მოძღვრებისა, რასაც ცხოვრება ამართლებს, რასაც მოწინააღმდეგენიც ემხრობიან, მეშჩანური ბრბოს ყიჟინი სულს არ გვიშფოთებს.

ჩვენც კარგად ვიცით, რომ ჩვენი ფიზიონომია ბევრს არ მოსწონს. ეს ასედაც უნდა იყოს.

ჩვენ კი მტკიცედ ვდგევართ ჩვენს პოზიციაზედ და რამდენათაც გაფეთრებით იბრძვიან მოწინააღმდეგენი, იმდენათ მეტად ვრწმუნდებით, რომ ჩვენი გზა სწორია.

წავიდა, ისტორიის ჩაბარდა—ძველი წელი. იწყება ახალი ბრძოლები ახალი ასპარეზი იშლება ჩვენს წინ, ჩვენ ჩვენს მხედველობაში იგივე ვრჩებით, რაც ვიყავით. ვერც მენშევიზმის ტრაგედია და ვერც ბოლშევიზმის ტრიუმფი ვერ შესცვლის ჩვენს მრწამს, ჩვენს იდეას. ჩვენ დროშას ერი და სოციალიზმი ეწერა, დღესაც იგივე ლოზუნგები არის ჩვენი ბრძოლის მიზანი. თუ ოდესმე ჩვენ ვიბრძოდით ერისა და ხალხისათვის, დღეს გაასკეცებული ენერგიით გვმართებს მუშაობა, მუშაობა და კიდევ მუშაობა.

მაგრამ როგორი გზით უნდა მივმართოთ მუშაობას? ჩვენს დეკლარაციაში, რომელიც წაკითხული იქნა ტფილისის საბჭოში, ჩვენ მიერ წამოყენებული იყო შემდეგი დებულებანი—ნაციონალური საკითხში ქართული ენის სახელმწიფოებრიობა, სრული თავისუფლება ყველა ერის ენისა, მცირე ეთნიურ ჯგუფებს ყოველგვარი კორპორატიული და კულტურული თავისუფლება, გადაჭრა ტერიტორიის საკითხის რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით და უარყოფა საკოლონიზაციო პოლიტიკის. ეკონომიურ საკითხში ჩვენ ვაყენებთ ეკონომიკის ნაციონალიზაციას. თუ რუსეთში ხდება წარმოების აღორძინება კაპიტალისტური გზით, საქართველოში სადაც სამრეწველო კაპიტალის ადგილი სპეკულიანტურ კაპიტალს უჭირავს, ასეთი აღორძინება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოებრივი რეგულიარიზაცია ეკონომიური ცხოვრების.

ამ მხრით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ქართული ენის საკითხი კვლავ მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე, დეკრეტები ვერაფერს აკეთებს. არ არის მტკიცე გარანტია სახელმწიფოს სუვერენობის ურყევი დაცვისა, არ არის გარანტია სახელმწიფოს ეკონომიკის აღორძინებისა. ამ ნიადაგზე საჭიროა დიდი შრომა, დიდი ბრძოლა...

სერ. ამ. ლდობელი.

---

*) რუსეთის რევოლუციამ გამოაშკარავა გლეხობის როლი რევოლუციაში და გაამართლა ჩვენი მხედველობა გლეხობაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა არჩევნები

საქართველოს საბჭოების მოწვევა და ჩვენი ერის სხეულის გარკვეულ სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოყალიბება ძლიერ მნიშვნელოვანი აქტია ჩვენს ცხოვრებაში,

ჩვენში 1921 წლის თებერვლის რიცხვიდან სახელმწიფოს გამგებლად რევოლუციონური კომიტეტი, რომელიც ხალხისაგან არჩეული და მისგან დადასტურებული კი არ არის, არამედ ზევიდან დანიშნული ბრძოლის პროცესში. ასეთი რევკომებით მოცული არის მთელი საქართველო და ადგილობრივ ისინი უძღვებიან ხალხის საქმეს. ეს აუცილებელი იყო. ობიექტიური გარემოება და პირობები ბრძოლისა ისეთი ხელმძღვანელი ორგანიზაციის შექმნას მოითხოვდა, რომელიც იქნებოდა ელასტიური, მოქნილი და რევოლუციონური სტრატეგიის გამტარებელი. ასეთი არის რევოლუციონური კომიტეტები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ რევოლუციის ძალების დარაზმვას და ერთგვარი სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი უნდა შექმნან. მაგრამ რევკომი თავისი დანიშნულების დროული ხელმძღვანელია; იგი რევოლუციონური პროცესის საომარი პერიოდის ავტორიტეტია; როდესაც ეს პროცესი დამთავრდება და შეიარაღებული შეტაკებანი ადგილს დაუთმობს ერთგვარ ნორმალურ პირობებს, ძველ რევოლუციონური პერიოდის ანორმალურს პირობებს, როცა შესაძლებელი ხდება დადებითი შემოქმედებითი მუშაობა, რევკომმა თავისი ძალა-უფლება უფრო უმაღლეს ავტორიტეტულს ორგანოს, მშრომელი ხალხის ნებისყოფის გამომხატველ საბჭოებს უნდა გადასცეს.

ამ გვარად რევკომები განსაზღვრული გარდამავალი მომენტის ძალა-უფლების მატარებელი ორგანიზაციაა აუცილებლად შექმნილ პირობების მიხედვით, მაგრამ დროული და წარმავალი თავისი დანიშნულებით. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, რევკომი ერთგვარი ძალ-უფლე-

ნება არის მშრომელი ხალხის ნებისყოფაზე და სურვილებზე და მისი არსებობის დროს შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს აპარატის განმტკიცება და მისი შესაფერისად გაჯანსაღება. რევკომის დანიშნულება და მისი ღირებულება როგორც გარდამავალი მომენტის ძალაუფლების მატარებელი ორგანიზაციისა, ძირშივე სპობს ფართო სახელმწიფოებრივ მუშაობისა და სოციალისტური აღმშენებლობის შესაძლებლობას. მას არ აქვს ფართო და დიდი საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმის უფლება, ის არ არის ასეთი ავტორიტეტულ მოვალეობით აღჭურვილი, მისი დანიშნულება შექმნილს ბრძოლის პროცესში პოლიტიკური ძალა-უფლება შეუნარჩუნოს მშრომელ ხალხს და შესაფერისს მომენტში გადასცეს პოლიტიკური ბატონობის სარბიელი უფრო უმაღლესს და ავტორიტეტულს ორგანოს—მშრომელთა მასების საბჭოების შრომის დიქტატურის განსახორციელებლად, როდესაც ასეთი ძალა-უფლების გადაცემის პროცესი გვიახლდება და თვით რევკომი იწყებს საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმას, მაშინ ჩვენ აუცილებლად ერთგვარ უზურპაციასთან გვაქვს საქმე. ამიტომ იყო მემარცხენე—სოც.-ფედერალისტებიც, როდესაც კი შეიქმნა ნორმალური პირობები, დაჟინებულივ მოითხოვე სრულიად საქართველოს საბჭოების მოწვევა და სადღეისო ლოზუნგად წამოაყენა: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს". ამით ჩვენმა პარტიამ გარკვეული პოლიტიკური შინაარსი მისცა იმ გეგმებს, რომლის საშუალებითაც უნდა წარმოებულიყო ჩვენში სოციალისტური მშენებლობა. ჩვენ ხალხოსნური პარტია ვართ და ჩვენს მსოფლმხედველობას შრომის პრინციპი უდევს საფუძვლად, საზოგადოების სოციალურ კლასებად დაყოფას, სოციალურს დიფერენციაციას ჩვენ შრომის პრინციპის საზომით ვხსნით და სოციალური წყობილებისათვის მებრძოლ არმიად მშრომელთა ფართო კატეგორიები მიგვაჩნია. სოციალური კლასების ასეთი შრომის პრინციპით დაყოფა გარკვეულ შინაარს აძლევს პოლიტიკურ მომენტსაც და იმ გეზს, რომელიც უნდა დავიჭიროთ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მშენებლობის პროცესში. პოლიტიკური ბატონობა და მთელი ძალა-უფლება მშრომელ ხალხს უნდა ეპყრას ხელში და მხოლოდ მისი საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს დიქტატურა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში. მშრომელთა პოლიტიკური დიქტატურა მშრომელთავე საშუალებით; აი ჩვენი პოლიტიკური კრედო დღეს; ეს კი მოითხოვს მთელი ძალა-უფლების მშრომელთა საბჭოებისათვის გადაცემას, მათ განთავისუფლებას ყოველგვარ პარტიულს დიქტატურისაგან. და როდესაც ჩვენ წამოვაყენეთ დიდი ლოზუნგი: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", ამით ჩვენ [illegible] რევკომის სისტემამ უკვე გახვლო თავისი ხანა; დროთა მოსვლამ, უკვე შეიქმნა ნორმალური პირობები და დრო არის მან ადგილი დაუთმოს უმაღლესს უფლებით მოსილს ორგანიზაციას;

როგორც გიცით რევკომის მოღვაწეობის პერიოდში იყო გადადგმული ისეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯები, რომლისათვის ჩვენ არ მიგვაჩნდა იგი ავტორიტეტულად და, ჩვენის გაგებით, არც ქონდა ამის უფლება; ეს უფლება სრულიად საქართველოს მშრომელთა საბჭოების კომპეტენციას შეადგენდა და მისს დაუკითხავად და ნება დაურთველად ასეთი ნაბიჯების გადადგმა დიდი შეცდომა იყო. მეორეს მხრით ჩვენ მიერ წამოყენებული ლოზუნგი წინ და წინვე ხაზდგრავდა ერთს რამეს: იგი მოითხოვდა მშრომელთა დიქტატურის გამომხატველ ნამდვილ საბჭოებს.

ჩვენ გვინდა ჩვენი საბჭოები იყოს სრულიად საქართველოს მშრომელ ხალხის, ჩვენი მუშების, გლეხების, და მშრომელი ინტელიგენციის ნამდვილი ნებისყოფის გამომხატველი და მათი შეურყეველი დიქტატურის განმახორციელებელი.

ჩვენი სოციალურ პოლიტიკური ცხოვრების წინ მსვლელობა და კულტურული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მიზანშეწონილი რაციონალური სოციალისტური მშენებლობის გზით. ჩვენი ერის სოციალისტური სტრუქტურა და ენერგია ვერ აიტანს კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობას და დიდს ეროვნულს განიავებასა და დეკადანსს, შეუმზადებს კაპიტალიზმს ნიადაგს ჩვენში. გარდა ამისა თანამედროვე კაპიტალიზმმა დაჰკარგა შემოქმედებითი ძალა განვითარებისა, ფინანსიური კაპიტალიზმში და მისი საგარეო პოლიტიკის გამომხატველი იმპერიალიზმი დღეს მსოფლიო დოვლათის განიავებას, საწარმოო ძალთა დაქსაქსვას უწყობს ხელს. ევროპის კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი მშრომელთა კლასების და ჩამორჩენილ, განუვითარებელ აზიისა და აფრიკის ერების უსირცხვილო ყვლეფისა და ავაზაკური ექსპლოატაციით საზრდოობს. ასეთს საერთაშორისო კონფერენციის ხანაში, როცა კაპიტალიზმის არსებობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ჩამორჩენილი ერების ძარცვით, ამ ერების მომავალი და მათი წარმატების პერსპექტივები შავი ფერადებით იმოსება. კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი ჩვენ საშინელს მომავალ გვიმზადებს და ჩვენი ერის აღორძინებასთან კი არ გვექნება საქმე ასეთს პირობებში, არამედ მისი გადაგვარების და გადაშენების შესაძლებლობასთან. ერებს სპობს და ანადგურებს, აჩიავებს არა ბიოლოგიური კანონი, არამედ სასტიკი და ტლანქი სოციალური, პოლიტიკური წყობილება. კაპიტალიზმის ბატონობა მსოფლიოში, მისი საბოლოო გამარჯვება, ასეთს საშინელს გამანადგურებელ სოციალ-პოლიტიკურს არტახებს უმზადებს ჩვენს ერს.

ამიტომ მთელის ჩვენის ენერგიით, მთელის ჩვენის შეგნებით უნდა ვებრძოლოთ კაპიტალიზმის მავნე მხარეებს ჩვენში, რომელიც ვერ ასწევს ჩვენს სოციალურს ცხოვრებას და ვერ აყვავებს ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს კულტურას მეორეს მხრით, მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს საერთაშორისო კაპიტალიზმის გაბატონების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ერს სრულს დამონებას და გადაშენებას უქადის. ჩვენი მოთხოვნა, ფართო კავშირისა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან, რომელნიც პრაქტიკულად აწარმოებენ ომს მსოფლიო კაპიტალიზმის გასანადგურებლად და ახალი სოციალისტური ურთიერთობის შესაქმნელად, ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სოციალისტური რევოლიუცია ფართო ნიადაგს უხსნის მომავალში ყოველ ერს დიდსა და პატარას, ჩამორჩენილსა და კულტუროსანს, სოციალურ აღორძინებისა და წარმატებისათვის.

ეს არ ესმის ჩვენს მემარჯვენე სოციალისტებს, არ ესმით, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარება ჩვენს ერს დიდ საფრთხეს უქადის და მხოლოდ ერთა გზა სოციალისტური რევოლიუციით უნდა მიექანებოდეს თავისი თავის გადასარჩენათ. არ ესმით და ამიტომაც ნაწილი იმპერიალისტურს ევროპაში გაიქცა სავსებო „სოციალისტური ინტერვენციისათვის", ნაწილი კი უშედეგო ბოიკოტით უპასპინძლდება საბჭოთა არჩევნებს ე.ქ. ყოველივე ეს გარკვევით ამჟღავნებს მენშევიკებისა და მისი ამყოლ მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკურს არა შორს მჭვრეტელობას და სიბეცეს. ისინი პარტიული ფანატიზმის წყალობით ღალატობენ ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და გაუმაძღარი ევროპის იმპერიალიზმის საშუალებით სცდილობენ საქართველოს „ხსნას". მაგრამ მათი პოლიტიკა დამღუპველ შედეგამდე მიიყვანს ჩვენს ერს და ამიტომ იგი ვერ გაჰყვება მემარჯვენე სოც.-ფედერალისტების გზას.

და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა, რომლისათვისაც დღეიდან შეუდგება მზადებას ჩვენი მშრომელი ხალხი, ნათლად და გარკვევით გვიტყვის ჩვენ, რომ პროგრამა და პოლიტიკური ხაზი მენშევიკებისა აღარ ეგუება საქართველოს წინმსვლელობას.

ჩვენი მშრომელი ხალხის დიქტატურის განმტკიცება საბჭოთა ფორმებში, ახალი სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის ჩამოყალიბება და გამაგრება არსებითად ნიშნავს მენშევიკების ბურჟუაზიული პროგრამის და სოციალური მრწამსის უკუგდებასა და ახალი გზით სვლას.

ეს ახალი გზა სოციალიზმისაკენ მიდის საბჭოთა სისტემის და დიქტატურის საშუალებით.

არა დრო მოჭმული კაპიტალიზმი, არამედ სოციალიზმი შეიქმნება ჩვენი პრაქტიკულ საქმიანობის საგანი.

ქართველი მშრომელი მასა ნელის, მაგრამ მტკიცე და შეურყეველის ნაბიჯით შეუდგება ახალი ცხოვრების აგებას, ახალი სამართლიანი სოციალური ურთიერთობის გამოჭედვას.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ჩამოყალიბება ერთი იმ მძიმე ლოდთაგანი იქნება კაპიტალიზმის სასაფლაოზე, რომლის დანიშნულება შემდეგში გამოიხატება: რაც შეიძლება თავისი სიმძიმით შორს უფსკრულში ჩაიტანოს ყოველივე დრომოჭმული, კულტურისა და წინსვლელობის შემაფერხებელი. უსამართლობაზე აგებული წყობილება, შეიქმნეს მითი ნამდვილი მესაფლავე და მასთანვე საფუძვლათ დაედვას ახალს ზნეობასა და გონიერებაზე აგებულს სოციალისტურს დამოკიდებულებას ადამიანთა და ერთა შორის.

ხომ. ნუნდაძე.

ტფილისის ქუჩებში

ახმაურებულ სიწყნარეში მოვა წვალება
და ვიწრო ქუჩა იმოსება უამრავ ხალხით.
ვერავინ იგრძნობს დღის სინათლის გარდაცვალებას
და თეთრ ზოლებზე განაშვებ ფერად სითალხეს.
აფუსფუსდება ალიონი ლურჯი სამოსით;
დამტარებლები აგიყებენ მოშავო ქუჩებს,
სინათლეობა მოსვენებას მათ არ უბოძებს.
და ვერც სიბნელე ვერ ადუმებს, ვერ გააყუჩებს.
მოფუსფუსეებს დარდი ათრობთ გასაჭირისა
ყველას გაიცნობ ძველი ალთქმის ზარმაც ბადიშებს
ჟრიამულობენ პატარები ტკბილი „ირისით".
მყვირალა ფირმა ფულიანებს მიიპატიჟებს.
ხშირად შეხვდები მათხოვარას გამოწვდილ ხელით,
უხეშმა ყოფნამ სასტიკად რომ დააზიანა.
გაჩერებულა საპურესთან, წყალობას ელის
და პურის სუნი მშიერ მადას ულიზიანებს.
გვერდით ჩაუვლის ფუფუნებით გაზრდილი, ლადი,
იგი სიბრალულს არ იმოყვრებს, არ მიიკარებს...
აქვითინდება სიცივეში მშიერი ბალღი
და ცრემლიანი მიეყრდნობა გათოშილ კარებს.

ა. მაღულარია.

ახალი ამბები

— **კულტურული მუშაობა საქ. წითელ ჯარში.** (არსენალის მუშათა კლუბში) სამშაბათს, 3 იანვარს 1922 წ. 1-ლი ლეგიონის პოლ.-განმანათლებელი კომისიის ინიციატივით რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ გაიმართება საღამო-წარმოდგენა შემდეგი პროგრამით: 1. კონცერტი—მონაწილეობას მიიღებს საქ. ჯარის პოლ.-განმანათლებელ საკონცერტო გუნდი, ვენაძის ლოტბარობით. 2. ამავე ლეგიონის პოლ.-განმ. კომისიასთან არსებულ ქართულ დრამატ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ბაიყუში" კომ. 2 მოქმ. ავქ. ცაგარელისა. 3. დივერტისმენტი. 4. ევროპიული და აზიური ცეკვა. „ფოსტა", ბუფეტი, აუქციონი. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი და დუდუკი.

— **მეშვიდე ხუთშაბათი** სრულიად საქ. მწერალთა კავშირი მართავს თავის მეშვიდე ხუთშაბათს.

[illegible] მუშა „პროლეტარული პოეზია".

— **3000 ლტოლვილი სომეხი.** სომეხთა წარმომადგენელმა გაზეთ მმართველებას განუცხადა, რომ კონსტანტინეპოლიდან ჩამოდის ბათუმში 3000 კაცი ლტოლვილი სომეხი და სთხოვა სამი მატარებლის დანიშვნა მათთვის ალექსანდროპოლში წასაყვანად.

— სახალხო გან. კომისარიატის დადგენილობით სასწავლებლებში მეცადინეობა რესპუბლიკის საზღვრებში 31 დეკემბრიდან შეწყვეტილია და განახლდება 20 იანვარს 1922 წ.

— **განათლების მუშაკთა კრება.** დღეს, სამშაბათს, 3 იანვას, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში, შესდგება განათლების სარბიელზე ყველა მომუშავეთა საერთო კრება, სადაც აირჩევა დელეგატები კონფერენციაზე დასასწრებლად. ყველა ქართველ მასწავლებელთათვის დასწრება სავალდებულოა.

უცხოეთი

მოსკოვი. 29 დეკ. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ პარიზში უფრო გავრცელებულია ის, რომ ბრიანი შეუძლებელია არ დასთანხმდეს ფინანსიურ კონფერენციის მოწვევას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს გერმანია და რუსეთი. ლონდონის კაბინეტმა მტკიცედ გადასწყვიტა შეუდგეს მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან.

მოსკოვი. 29 დეკ. მარსელში გაიხსნა პირველი ყრილობა საფრანგეთის კომ. პარტიისა. დაესწრო 350 დელეგატი.

მანთვერი. 27 დეკ. შაბათს და კვირას ქაირში კვლავ აჯანყება მოხდა, ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკება იყო. ამასთან გაფიცული სტუდენტები იბრძოდნენ მეამბოხეთა გვერდით. მოკლულია 5 სტუდენტი, დაჭრილია 20. ლორდი ალენბი მოითხოვს სამხედრო დახმარებას.

საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

ქუთაისის სამაზრო რევკომის მოღვაწეობა.

ტეხნიკური საქმეები.

ვინაიდან მაზრაში გვალვა და მოუსავლობა ხშირია და მოიპოვება მრავალი ხრიოკი და ჭაობიანი, სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი ადგილები, სამაზრო რევკომმა თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ამ ნაკლის გამოსასწორებლად. გაყვანილია მაზრაში ახალი არხები, ისე არსებული შეკეთებულია შეძლებისამებრ. ამ ჟამად მთელ მაზრაში მოქმედობს 10 სარწყავი არხი სიგრძით 150 ვერსი და მორწყულ მიდამოთი 24082 ქცევით. დაწყებულია კვლევა ვანის სარწყავ არხის გასაყვანად, რომელმაც უნდა მორწყას 10,000 ქცევა მიწა. ფულის უქონლობის და სპეციალისტთა პერსონალის სიმცირის გამო, ამ საქმის მუშაობა ძლიერ ფერხდება. ოქტომბერში ცხენის წყლის ადიდების გამო, მიღებულ იქმნა სასწრაფო ზომები და აგებული ხელოვნური სიმაგრეები.

შარა გზებზე სახელდობრ: ნაქერალის ახლად გაკეთებულია ოთხი თვის ხიდი, გელათისა კი ერთი. აშენებულია გუბის წყლის მარცხენა ნაპირზე გამამაგრებელი და გამოცვლილია ხიდის ზედა ნაწილი. მთელ მაზრაში, გარდა ზემოაღნიშნულისა, საჭიროებს შეკეთებას რვა ხიდი, გზები კენჭებით მოკირწყვლას, ახლად დაგეგმვას და შეკეთებას. სიგრძე შარა-გზებისა ქუთაისის მაზრაში შემდეგია: ნაქერალის—14 ვერსი, გელათის—9, წყალტუბოს—9, ხონის—25, სამტრედიის—20. თვით ქალაქ ქუთაისში შეკეთებულია ორი ხიდი და მოკირწყლულია 700 კუბ. საჟ.

განათლების საქმე.

ქუთაისის მაზრაში სასკოლო რეფორმა თითქმის დამთავრებულია. გაერთიანებულია პირველ დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი სკოლები შრომის სკოლებში, რომელთა რიცხვი ქალაქ ქუთაისში შეადგენს 22-ს, 6670 მოწაფეებით. თვით გიმნაზიები გადაკეთებულია ტეხნიკუმებად, რომელთა მოწაფეთა რიცხვი შეადგენს 3265, და სადაც შემოღებულია საბჭოთა კონსტიტუცია და პოლიტიკური ეკონომია. გახსნილია აგრეთვე საღამოს რუსული ტეხნიკუმი, სადაც სწავლა ნორმალურად მიმდინარეობს. გახსნილია აგრეთვე სომხური, რუსული და ებრაელების შრომის სკოლები. მაზრაში გახსნილია ოთხი ტეხნიკუმი და ერთის გახსნაც განზრახულია სვირის რაიონში. მთელ მაზრაში პირველ დაწყებითი სასწავლებლების რიცხვი უდრის 231, რომლებშიც სწავლობენ 20.000 მოწაფენი. მიუხედავათ „მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზის გამო, სწავლა მაინც შედარებით ადრე დაიწყო (10 ოქტომბერი). ქალაქ ქუთაისში გახსნილია 10 სამკითხველო, 3 ბიბლიოთეკა და 2 კლუბი. მოქმედობს ერთი კინემატოგრაფი და ერთი თეატრი, რომელშიაც ამ ჟამად სწარმოებს რემონტი. მთელ მაზრაში გახსნილია 42 სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ხოლო კლუბები კი 4, თეატრები არსებობს ქალ. სამტრედიაში, ხონში, ტყიბულში. ქუთაისში გახსნილია ერთი მუშათა სახლი, ხოლო ქალაქ ხონში საძირკველი აქვს ჩაყრილი სახალხო სახლს, ქალაქ ქუთაისში დაარსებულია საღამოს კურსები, რომ[illegible] მშრომელთა უმრავლესობა შესდგება [illegible] უღარიბეს მცხოვრებთაგან, სადაც სწავლა უფასოა. ქუთაისში [illegible] საბავშვო ბაღი. თეატრში წარმოდგენები ერთ[illegible] აიხსნება იმით, რომ ქუთაისში არ არის სათანადო არტისტული ძალები.

დადგენილება №119

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

1. გაწვეულ იქნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქენი, დაბადებულნი 1900 წელში და საკომანდო შედგენილობის უმცროსი პირი (ყოფილი პოდპრაპორშჩიკები, ზემდეგნი, ვახმისტრები, ნაცვალნი და ფეირვერკერები) დაბადებულნი 1897, 1898 და 1899 წლებში.

2. წელში დაბადებულთაგან გაწვეულ უნდა იქნენ ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი უკლებლივ, გარდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა, თანახმად საქართველოს ოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. № 40 დეკრეტისა, და აგრეთვე მაჰმადის სარწმუნოების მოქალაქეთა და სექტანტებისა.

3. პირველ მუხლში მოხსენებულ საკომანდო შედგენილობის უმცროს პირთაგან, რომელნიც დაბადებულნი არიან 1897, 1898 და 1899 წლებში, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ ჯარში გაწვევისაგან მაზრების სამხედრო კომისარიატების მიმღებ კომისიების განკარგულებით, მხოლოდ რკინის გზისა, საზღვაო ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უმაღლესი კვალიფიკაციის ტეხნიკური მომუშავენი, რომელთა მაგიერობის გაწევა შეუძლებელია.

შენიშვნა: თვითეულ ცალკე შემთხვევაში სახალხო კომისრებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, უფლება ეძლევათ აღძრან შუამდგომლობა სამხედრო და საზღვაო კომისარიატთან არსებულ ვადის გადამდებ ცენტრალური კომისიის წინაშე—სპეციის განთავისუფლების შესახებ, რომელნიც არ ეკუთვნიან ამ მუხლში მოხსენებულ კატეგორიას.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა ტელეგრაფით, მხოლოდ თვით ვადა და წესი გაწვევისა განისაზღვრება სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის განკარგულებით.

საქარ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე
ელიაშვილი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
1921 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

პარტიაში

— დღეს, სამშაბათს საღამოს 6 საათზე ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია მთავარ-კომიტეტის სხდომა. გასარჩევია გადაუდებელი საკითხები.

დაჰკარგა მოწმობა მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნ—ტის მიერ მოცემული № 170 ელენე ხარიტონის ასულის ფაჩულიას სახელზე, საისტორიო დარგის. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვა
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი, ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ახალბებუთოვის ქ. № 5.
(Новобебутовская.) 1